

სათამაშო ბიზნესი, მისი მომხმარებელი და ქვეყნის ეკონომიკა

თინათინ ელიაშვილი

ნინო დემეტრაშვილი

თეონა ნეფარიძე

სამაგისტრო ნაშრომი წრდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის ფაკულტეტზე საბანკო-საფინანსო მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: საბანკო-საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ბაქრაძე



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

სათამაშო ბიზნესი 2017 წელს საქართველოში საკმაოდ არის განვითარებული წინა წლებთან შედარებით. თუმცა საინტერესოა, აზარტული თამაშები მოსახლეობის დამოკიდებულებით გამოწვეულ სოციალურ პრობლემას უფრო ამძიმებს, თუ ანვითარებს ქვეყნის ეკონომიკას. ბიზნესის ამ სფეროს აკარძალვით სოციალური პრობლემა მოუგვარებელი დარჩება არსებული ინტერნეტ ვებ-გვერდების საშუალებით, ხოლო ქვეყანა აღმოჩნდება ფინანსური კრიზისის წინაშე.

სათამაშო ბიზნესის ხელშეწყობით, მასზე დაწესებული მკაცრი რეგულაციები ტურისტული სექტორის უფრო განვითარებას წინასწარმეტყველებს. ასევე ქვეყანაში შემცირდება უმუშევრობის დონე და ხელს შეუწყობს მცირე თუ საშუალო ბიზნესის განვითარებას.

კერძო ბიზნესიდან გადასახადების სახით ბიუჯეტში შესული თანხების მიხედვით სათამაშო ბიზნესი პირველ ადგილზე დგას. ის უსწრებს საქართველოში ყველაზე განვითარებულ საბანკო სექტორს. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აზარტული თამაშები ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: სათამაშო ბიზნესი, აზარტული თამაში, სამორინე, ლუდომანია, გემბლინგი.

Abstract

In Georgia gambling business is more developed in 2017 than in previous years. However, it is interesting whether gambling business does the social problem caused by population

dependence on gambling worse, or it develops country economy. By prohibiting this field of business, social problem remains unsolved as several internet web-sites still exists and country will face financial crisis.

By supporting gambling business, strict regulations set on it predicts more development of tourism. Also the level of unemployment will be decreased in the country and small and average scale business will be supported to improve.

According to the amount of money entered into the budget from private business, gambling business takes the first place. It is ahead of the most developed banking sector in Georgia. So, it can be proudly said that gambling business is one of the priority sector for developing country economy.

The key thematic searching words: gambling business, gambling, Casino, gambling addiction.